საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-631

17/07/2020

ქ. თბილისი

შპს „ტრანსპორტი-2015“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 2 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „ტრანსპორტი-2015“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2001 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ი.მ. „თემურ გაფრინდაშვილი“-ს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაიცა №70 (05.12.2001) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო 2014 წლის 20 მარტს გაიცა გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა. 2014 წელს აღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „ტრანსსერვისი-2014“-ს, ხოლო 2017 წელს შპს „ტრანსსერვისი-2014“-სგან გადაეცა შპს „ტრანსპორტი-2015“-ს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2001 წლის 5 დეკემბრის №70 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2001 წლის №70 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ტრანსპორტი-2015“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №70; 05.12.2001);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ტრანსპორტი-2015“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ტრანსპორტი-2015“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი